საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე

გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, ექვემდებარება გორის მუნიციპალიტეტს.

დაარსდა 1938 როგორც გორის კულტურის სახლის განყ-ბა; თავდაპირველად ფუნქციონირებდა მხოლოდ მხატვრული წრეები. 1966-იდან პიონერთა სახლს გამოეყო შენობა ლენინის (ახლანდ. სამეფოს) ქუჩაზე; 1971 წ. 8 ოქტ. პიონერთა სახლს სასახლის სტატუსი მიენიჭა; გაფართოვდა წრეების ქსელი, დამყარდა კონტაქტები სსრკ-ის სხვა ქალაქების, აგრეთვე ჩეხეთის, პოლონეთის პიონერთა სასახლეებთან.

1990 საქართველოში გაუქმდა ბავშვთა და მოზარდთა პოლიტ. ორგანიზაციები, რის გამოც პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე ეწოდა.

2010 წ. 1 იანვრისთვის სასახლე გორის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია. გ. მ. მ. ა. ს-ში, რ-იც ემსახურება ოთხასზე მეტ ბავშვს, ფუნქციონირებს: ლიტ-რის, მხატვრული, საბუნებისმეტყველო და სხვ. წრეები. მისი პრიორიტეტია საქართვ. კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილ) ბავშვებთან მუშაობა.

გ. მ. მ. ა. ს. თანამშრომლობს თბილისისა და ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეებთან.